

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „აისბერგი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2018 წლის 6 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი - 4045696506.

ფაქტური მისამართი - საქართველო, თბილისი, სამგორის ქ.21

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობებისა და მიწის იჯარა გაქირავება და მართვა. ასევე, დასწყოება და შენახა.

კომპანიის პარტნიორები არიან: შპს ფრიზი 2022 (ს.ნ.405518989) 70%

და ბაგრატი ზედგენიძე-30%

კომპანიას 2023 წელს საშუალოდ ჰყავდა 28 დასაქმებული. შესაბამისად კომპანია წარაგენს მე-3 კატეგორიის გამარტივებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო შპს „ფრიზი 2022“ (ს.ნ.405518989), წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც მე-3 კატეგორიის საწარმოთათვის შელავათს ითვალისწინებს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიამ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის

მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის ს უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად სახსრებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და აპროცენტი არ ერიცხება.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

გაუნაწილებელი მოგება

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობი სთანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ემუხლის 99- ედა 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20-25
მოფისის აღჭურვილობა	5-7
მანქანა-დანადგარები	5-10
ავტო-სატრ. საშუალებები	5-10

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში, რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს ძირითადად მომსახურებიდან .

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს:

Sromis anazRaureba	407699
cveTa	84555
ადმისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯი	422406
sul:	221471

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	926	235	6116
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	155060	154505	144166
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	18832	12220	11056
მარაგები	6915	6267	17383
სხვა	6915	6267	17383
ძირითადი საშუალებები	1576425	1649270	2218425
სულ აქტივები	1758158	1822497	2397146
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	40411	32371	56254
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	31350	25750	0
საგადასახადო ვალდებულებები	35610	22382	4464
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	2211065
სხვა ვალდებულებები	752	594	0
სულ ვალდებულებები	108123	81097	2271783
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2891683	3250195	218280
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-2037471	-2304618	-888740
გადაფასების რეზერვი	795823	795823	795823
სულ საკუთარი კაპიტალი	1650035	1741400	125363
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1758158	1822497	2397146
სულ მოკლევადიანი აქტივები	181733	173227	178721
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	108123	81097	60718

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	984411	1071180
მომსახურების გაწევიდან	984411	1071180
საერთო მოგება	984411	1071180
დასაქმებულთა ანაზღაურება	-407699	-355889
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-84555	-84650
საპროცენტო ხარჯი	0	-170406
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-221470	-252000
სულ საოპერაციო ხარჯები	-713724	-862945
საოპერაციო მოგება	270687	208235
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-4236	-35414
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	-139164
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	696	430788
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	267147	464445
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	267147	464445
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	267147	464445
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1741400	125363
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-358512	1151592
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1650035	1741400

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	-5881
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	0	-5881
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	235	6116
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	0	235

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 5 სექტემბერს.

დირექტორი-(ხელმოწერა)

თავ დიჭუ ლი